



## პრესრელიზი

**დაუყოვნებლივი გავრცელებისათვის**  
**2014 წლის 13 ოქტომბერი**

დამატებითი ინფორმაციისთვის:

მაკა ნოსელიძე – USAID/REAP კომუნიკაციის სპეციალისტი

მობ: 591192919

ელ.ფოსტა: [mnoselidze@georgiareap.org](mailto:mnoselidze@georgiareap.org)

### აშშ-ის ელჩი ბატონი რიჩარდ ნორლანდი და დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსის (IdEA) წარმომადგენელი ბატონი რომი ბათია „გლობალური დიასპორული კვირეულის“ გახსნით ღონისძიებაზე

აშშ-ის ელჩი საქართველოში ბატონი რიჩარდ ნორლანდი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის ხელმძღვანელი ბატონი სტეფან ჰაიკინი და დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსის (IdEA) საპატიო წარმომადგენელი ბატონი რომი ბათია, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს „დიასპორის ეკონომიკურ ფორუმში“. ღონისძიება, რომელიც ორგანიზებული იყო დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, გაიმართა 13 ოქტომბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში.

„დიასპორის ეკონომიკური ფორუმი“ წარმოადგენს „გლობალური დიასპორული კვირეულის“ გახსნით ღონისძიებას. კვირეულის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებები წარმოაჩენს დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსთან (IdEA) თანამშრომლობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებებით. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აღნიშნული ალიანსის წევრი გახდა 2014 წლის 1 აგვისტოს. ალიანსი დაარსებულია ჰილარი კლინტონის ინიციატივით. მისი დამფუძნებლები არიან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და საინვესტიციო ფონდი Calvert Foundation.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს უცხოეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა, მოწვეულმა ექსპერტებმა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებიდან, ბიზნესმენებმა საქართველოს რეგიონებიდან, საქართველოს ცენტრალურმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ფორუმის დასაწყისში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის. მემორანდუმი მიზნად ისახავს დიასპორული მეწარმეობის წახალისებას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროგრამის (REAP) ხელშეწყობით.

ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტები. ასევე განხილული იქნა დიასპორასთან დაკავშირებული გამოწვევები და საჭიროებები, მიმდინარე სახელმწიფო პროგრამები, ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების გამოცდილება, დიასპორებში არსებული ფინანსური და ადამიანური პოტენციალი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში.

###

*USAID საქართველოში: ბოლო 22 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ს მიერ განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალ დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში და მოიცავს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების, ჯანდაცვისა და განათლების სფეროების გაუმჯობესების ინიციატივებს. USAID 100-ზე მეტ ქვეყანას უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საიტს - <http://www.usaid.gov/georgia>*